




საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№4, 2016





კონკურსები

1. 2016 წლის 6 ივნისს გამოცხადდა კონკურსი სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის 2016 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით (საკონკურსო ფონდი 220 000 ლარი), შემოვიდა 27 პროექტი, საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა 4 პროექტი;
2. 2016 წლის 13 ივნისს გამოცხადდა კონკურსი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2016 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით (საკონკურსო ფონდი 150 000 ლარი), შემოვიდა 38 პროექტი, საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა 5 პროექტი;
3. 2016 წლის 15 ივნისს გამოცხადდა კონკურსი მცირებიუჯეტის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2016 – 2017 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით (საკონკურსო ფონდი 360 000 ლარი), საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა 5 პროექტი
4. 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადდა კონკურსი დოკუმენტური (მოკლემეტრაჟიანი ან სრულმეტრაჟიანი) ან მხატვრული (მოკლემეტრაჟიანი) ფილმის დასრულების მიზნით (საკონკურსო ფონდი 120 000 ლარი), საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა 5 პროექტი.
5. 2016 წლის 21 ივნისს გამოცხადდა სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2017 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 900 000 ლარი), პროექტები გადაეცა საექსპერტო კომისიას.
6. 2016 წლის 15 აგვისტოს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2017 წლის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 850 000 ლარი), საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა 3 პროექტი.

წერა ქართულ კინოზე!

წერე ქართულ კინოზე! - ეს არის ახალი კონკურსი, რომელიც ეროვნულმა კინოცენტრმა საქართველოში კინომცოდნეობისა და კინოკრიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გამოაცხადა.

პირველ ეტაპზე კონკურსანტების შერჩევა მოხდა მათ მიერ წარმოდგენილი ესეების მიხედვით. მეორე ეტაპზე კი კონკურსანტები იმ რეცენზიების მიხედვით შეფასდნენ, რომელთაც ისინი ბოლო წლებში გადაღებულ ქართულ ფილმებზე წერდნენ.

გადაწყვეტილება პროფესიონალებისგან დაკომპლექტებულმა სპეციალურმა კომისიამ მიიღო, გამარჯვებულები კი თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დაჯილდოვების ცერემონიაზე გამოვლინდნენ.

პირველ ადგილზე თეკლა ლომთაძე გავიდა, მეორე ადგილზე ბექა მაისურაძე, ხოლო მესამე ადგილი გიორგი კობაიძეს ხვდა წილად.


პირველ ადგილზე გასული კონკურსანტი ეროვნული კინოცენტრის დაფინანსებით ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაემგზავრება. მეორე და მესამე ადგილზე გასულ კონკურსანტებს კი კინოცენტრი სწავლის გადასახადის დაფარვაში დაეხმარება.



მიმდინარე პროექტები

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“ დირექტორი - ლევან კოლუაშვილი, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უარყოფითი რიცხვები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მაგნეტ ფილმს“ დირექტორი - დავით ისაკაძე, რეჟისორი - უტა ბერია).
- მოსამზადებელ პერიოდშია ერთობლივი ქართულ - უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდასამი 43“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინეტეკი“ დირექტორი - რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია მცირებიუჯეტის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კაცი“ (პროდიუსერი - შპს „სინემაგია“, დირექტორი - გიორგი კაჭარავა, რეჟისორი - გიორგი კაჭარავა).
- მოსამზადებელ პერიოდშია მცირებიუჯეტის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფილმსი“, დირექტორი - დავით აბრამიშვილი, რეჟისორი - დავით აბრამიშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია მცირებიუჯეტის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრის დეპრესია“ (შპს „Film Asylum“ , დირექტორი - ნიკა გუგუშვილი, რეჟისორი - თამაზ ნარიშკიძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია მცირებიუჯეტის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ომობანა“ (პროდიუსერი - შპს „სტენლი“, დირექტორი - ალექსანდრე დარახველიძე, რეჟისორი - ირაკლი ჩხიკვაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია მცირებიუჯეტის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ღორი“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - გიგა ლიკლიკაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „როცა პეპლები იწყებენ ფრენას“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - ბექარ ჯგუბურია).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი_ „სატრფიალო პასტორალი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „თთფილმი“ დირექტორი - თამარ გურჩიანი, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი).

„ხიზულა“



„შეყვარებული ზაყაყი“



„ურსუსი“

- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი დღე“ საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტ ფაბრიკა“ დირექტორი - თამაზ ორაშვილი, რეჟისორი - გიორგი შენგელაია).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დეღგმა“ საპროდიუსერო კომპანია - შპს „ბი-აი-თი სტუდიო“ დირექტორი მარიამ ბიწაძე, რეჟისორი - ანა კვიჭიძე;
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პამპულობანა“, (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მილიმეტრ ფილმი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - ამირან დოლიძე);
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი _ „ისტორია საოჯახო ალბომიდან“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - ანნა მიაპშიპა, რეჟისორი - ანნა მიაპშიპა).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი „სანამ მამა დაბრუნდება“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნუში ფილმი“ დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - მარიამ გულბიანი).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი „აბასთუმანი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „კავშირი ოპიოდოკი“ დირექტორი მარიამ ჭაჭია, რეჟისორი - მარიამ ჭაჭია, ნიკ ვოიგთი).
- გადაღების პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეზობლები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“ დირექტორი - ლაშა ხალვაში, რეჟისორი - გრიგოლ აბაშიძე).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „საშიში დედა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“ დირექტორი - ლაშა ხალვაში, რეჟისორი - ანა ურუშაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაბანა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „Film Asylum“ დირექტორი ვალერიან კირკიტაძე, რეჟისორი - გიგა ბაინდურაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნამე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - ზაზა ხალვაში).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ზოლემია“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/საწარმო „ქეთევან ჯანელიძე“, მხატვარ/ანიმატორი - ნინა სამანიშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „Polare Film“ დირექტორი - ნანა ექვთიმიშვილი, რეჟისორები - ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროს).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიზულა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალამდარი“ დირექტორი - ნინო დევდარიანი, რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი).



“გოგონა და მეთევზე”



“ნამე”

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღლუმი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს ახალი ქართული ფილმი) დირექტორი - ნიკა აბრამაშვილი, რეჟისორი - ნინო ჟვანია).
- სამონტაჟო პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უცხო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მილიმეტრი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - დიმიტრი მამულია).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუს“-ი (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ო“, რეჟისორი - ოთარ შამათავა).
- სამონტაჟო პერიოდშია ერთობლივი ქართულ-უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მძევლები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 Steps Productions“ დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - რევაზ გიგინეიშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, დირექტორი - ივანე არსენიშვილი, რეჟისორი - ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „პიონერთა სასახლე“ (პროდიუსერი - აიპ „Matchhouse Film“ დირექტორი - ანა ციმინტია, რეჟისორი - ანა ციმინტია).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ვსაუბრობთ ფულზე“ (პროდიუსერი - შპს „ზაზარ ფილმი“ დირექტორი - ზაზა რუსაძე, რეჟისორი - სებასტიან ვინკელსი, ზაზა რუსაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მეთევზე და გოგონა“ (პროდიუსერი - შპს 20 Steps Productions დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - მამუკა ტყეშელაშვილი).
- სამონტაჟო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“ დირექტორი - გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მზის ქალაქი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ონელი ფილმ ასოციაცია“ დირექტორი - რატი ჯეზაშვილი, რეჟისორი - რატი ჯეზაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მისტერ ჯონსონ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - თამარ მშვენიერაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ნივთები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „CINEMARK“, რეჟისორი - ნინო გოგუა).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ჯიზის კაცი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კვალი XXI“ პაატა შენგელია, ანიმატორი - ანა ჩუბინიძე).

- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „იძინებს მზე“ (პროდიუსერი - შპს „ფოკუს პროდაქშენს“ დირექტორი - თამარ თვარაძე, რეჟისორი - მარგალიტა ზუბაშვილი).
- განვითარების პერიოდშია კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის პროექტი „გაცხადებული სიზმარი“ (პროდიუსერი - აიპ „საავტორო ფილმების სტუდია“, სცენარის ავტორი - ზურაბ ინაშვილი).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „მეფე“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, სცენარის ავტორი - ირაკლი სოლომანაშვილი).
- განვითარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „წვიმა ორ ნაპირზე“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების დამოუკიდებელი სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, სცენარის ავტორი - ზაზა ხალვაში).
- განვითარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „გაბრაზებული პარფიუმერი“ (პროდიუსერი - შპს „ბისსტუდია“ დირექტორი - ბესიკ სოლომანაშვილი, სცენარის ავტორები - ბესიკ სოლომანაშვილი, რუსუდან შარაძე).
- განვითარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ერგაშვა“ (პროდიუსერი - შპს „აბკ სტუდია“ დირექტორი - მამუკა ჩიხრაძე, სცენარის ავტორი - დავით ქვარცხავა).
- განვითარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „შავი მერცხლის ფრენა“ (პროდიუსერი - შპს „კავკასიური ფილმოდრომი“ დირექტორი - რუსუდან პირველი, სცენარის ავტორი - გივი (ბესო) ოდიშარია).
- განვითარდა 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ასინქრონი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნიკე სტუდია“ რუსუდან ჭყონია, სცენარის ავტორი - ეკატერინე ტოგონიძე).
- განვითარდა 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „მოქალაქე წმინდანი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“ ლაშა ხალვაში, სცენარის ავტორები - გია ალავიძე, თინათინ ყაჯრიშვილი).

“მძევლები”





გოსფილმოფონდში დაცული ოთხი ქართული ფილმი უკვე საქართველოშია!

17 ნოემბერს, 17:00 საათზე, სასტუმრო „ბილთმორში“, „გოსფილმოფონდში“ დაცული ოთხი ქართული ფილმის ქართული მხარისთვის საზეიმო გადაცემის ცერემონია გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და „გოსფილმოფონდის“ გენერალური დირექტორი ნიკოლაი ბოროდაჩევი უძღვებოდნენ. პირველ ეტაპზე, ქართულ მხარეს ოთხი ქართული ფილმის ასლი გადმოეცა:

- „ჰოლტზე“ - რეჟისორი ლეო ესაკია;
- „ამერიკანკა“ - რეჟისორი ლეო ესაკია ;
- „ბუზა“ - რეჟისორი ნუცა ლოლობერიძე;
- „უკანასკნელ საათს“ - რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი.

ღონისძიება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით გაიმართა. მას მინისტრთა კაბინეტის წევრები და ბიზნესის სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



ქართული ფილმის „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ მსოფლიო პრემიერა სანდენსის კინოფესტივალზე შედგება

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმის „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ მსოფლიო პრემიერა სანდენსის კინოფესტივალზე მთავარ საკონკურსო პროგრამაში შედგება!

მხატვრული ფილმების საერთაშორისო კონკურსისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სულ 12 ფილმი შეირჩა და „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ ამ კონკურსის ერთ-ერთი რჩეულია.

2 დეკემბერს, 12:00 საათზე ეროვნულ კინოცენტრში გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი, რეჟისორები - ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროსი და ფილმის გადამღები ჯგუფი მედიის წარმომადგენლებს შეხვდა.

სანდენსის კინოფესტივალი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1978 წლიდან იმართება. ის ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა რობერტ რედფორდმა დააარსა და ის ამ დრომდე სანდენსის კინოფესტივალის პრეზიდენტია.

აღსანიშნავია, რომ „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ კინოინდუსტრიის წახალისების სახელმწიფო პროგრამით „გადაიღო საქართველოში“ ისარგებლებს, რომელიც, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ფილმის მწარმოებელი კომპანიისთვის გაწეული კვალიფიციური ხარჯის 20-25%-ს უკან დაბრუნებას გულისხმობს. პროგრამას ეროვნული კინოცენტრი მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით ანხორციელებს!

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი

28 ნოემბერს თბილისის მე-17 საერთაშორისო კინოფესტივალი მარგარეტე ფონ ტროტას ფილმით „როზა ლუქსემბურგი“ გაიხსნა. ფესტივალის გახსნას ფილმის რეჟისორი საპატიო სტუმრის რანგში დაესწრო.

კინოფესტივალის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი საერთაშორისო კონკურსია. საერთაშორისო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე წელს საფრანგეთში მოღვაწე ცნობილი კანადელი მსახიობი ალექსანდრა სტიუარტი იყო.

3 დეკემბერს კინოთეატრში „ამირანი“ კინოფესტივალის დახურვის ცერემონია გაიმართა. ფესტივალის საერთაშორისო და ეროვნული კონკურსის ჟიურიმ გამარჯვებულები შემდეგ კატეგორიებში გამოავლინა:

საერთაშორისო კონკურსი:

1. ოქროს პრომეთე (საუკეთესო ფილმი) - „სხვისი სახლი“, რუსუდან გლურჯიძე, საქართველო
2. ვერცხლის პრომეთე (საუკეთესო რეჟისურა) - „პატარა ადამიანების მიწა“, იანივ ბერმანი, ისრაელი

ეროვნული კონკურსი:

1. საუკეთესო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი - „თვე, როგორც ერთი დღე“, რეზო ესაძე
 2. საუკეთესო დოკუმენტური ფილმი - Life is Be, ვახტანგ კუნცეც-გაბაშვილი
- განსაკუთრებული აღნიშვნა: „დაისის მიზიდულობა“, სალომე ჯაში
 - 3. საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი - „დაკარგული სოფელი“, გიორგი თოდრია
 - განსაკუთრებული აღნიშვნა: „ჩვენი წელთაღრიცხვით 2015“, ხათუნა ხუნდაძე



დოკუმენტური კინოს საერთაშორისო ფესტივალი CINÉDOC-TBILISI

CinéDOC-Tbilisi პირველი საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალია სამხრეთ კავკასიაში, რომლის მიზანაც რეგიონში დოკუმენტური კინოს პოპულარიზაციაა.

ფესტივალი წელს მეოთხედ ჩატარდა და უმასპინძლა რეჟისორებს, პროდიუსერებს და კინოპროფესიონალებს მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნიდან.

კინოფესტივალის დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა 25 ოქტომბერს საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, სადაც შემდეგი გამარჯვებული ფილმები გამოვლინდა:

- გამარჯვებული ფილმი, საერთაშორისო საკონკურსო სექცია – ძმები / რეჟისორი – ვოიტეკ სტარონი / პოლონეთი / 2015 / 70 წუთი.
- ჟიურის სპეციალური აღნიშვნის ჯილდო, საერთაშორისო საკონკურსო სექცია – ოჯახური ურთიერთობები / რეჟისორი – ტომ ფასარტი / ნიდერლანდები / 2015 / 110 წუთი.

- გამარჯვებული ფილმი, CivilDOC სექცია – სესილია / რეჟისორი – პანკაი ჯოჰარი / ინდოეთი / ნორვეგია / 2015 / 85 წუთი.
 - ჟიურის სპეციალური აღნიშვნის ჯილდო, CivilDOC სექცია – ვინდა შემოყვარებს ახლა? / რეჟისორი – ბარაკ ჰეიმანი, ტომერ ჰეიმანი / ისრაელი / დიდი ბრიტანეთი / 2016 / 84 წუთი.
 - გამარჯვებული ფილმი, Focus Caucasus სექცია – ერთი, ორი, სამი / რეჟისორი – არმან იერიციანი / სომხეთი / 2015 / 75 წუთი.
 - ჟიურის სპეციალური აღნიშვნის ჯილდო, Focus Caucasus სექცია – ახალგაზრდა მოჭიდავეები / რეჟისორი – მეთ გუმურჰანი / თურქეთი / ნიდერლანდები / 2016 / 90 წუთი.
 - გამარჯვებული ფილმი, სტუდენტური ჟიური – ძმები / რეჟისორი – ვოიტეკ სტარონი / პოლონეთი / 2015 / 70 წუთი.
 - გამარჯვებული ფილმი, მაყურებლის რჩეული – ტრანზიტ ჰავანა / რეჟისორი – დანიელ აბმა / კუბა / გერმანია / ნიდერლანდები / 2016 / 86 წუთი.
 - CinéDOC Young სექციის გამარჯვებული – ვცეკვავ შენთვის / რეჟისორი – ერლენდ ე. მო / დანია / ნორვეგია / შვედეთი / 2015 / 30 წუთი.
 - ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა Q&A სესიები, სადაც აუდიტორიას საშუალება ჰქონდა კითხვა-პასუხის ფორმატში გასაუბრებოდა ფილმის რეჟისორს.
- ეროვნული კინოცენტრი ტრადიციულად კინოფესტივალის მხარდამჭერია.

ფილმს „ანას ცხოვრება“ კრიტიკოსთა საერთაშორისო ჯილდო გადაეცა

ნინო ბასილიას ფილმს „ანას ცხოვრება“ ქაიროს A კლასის კინოფესტივალზე კრიტიკოსთა საერთაშორისო ჯილდო „ფიპრესი“ გადაეცა.

დაჯილდოების ცერემონიალს ქაიროში რეჟისორი ნინო ბასილია და პროდიუსერი ჟანა სარდლიშვილი დაესწრნენ.

ფილმს უკვე აქვს რამდენიმე საერთაშორისო ჯილდო:

კინოფესტივალის CINEMA JOVE გრან პრი და კინოფესტივალზე Construir Cine მოპოვებული მთავარი პრიზი Merit Award. „ანას ცხოვრება“ სახალისის კინოფესტივალზეც დააჯილდოვეს. ნინო ბასილია საუკეთესო რეჟისორად აღიარეს, ეკა დემეტრაძეს კი რომელიც ფილმში მთავარ როლს ასრულებს, პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის გადასცეს.

ნოემბრის თვეში კი „ანას ცხოვრება“ პალმა დე მალიორკასა და არასის კინოფესტივალების გამარჯვებული გახდა.

ფილმს ასევე აქვს სტამბულში, საერთაშორისო კინოფესტივალზე Crime and Punishment მოპოვებული ჟიურის სპეციალური პრიზი.





ქართული ფილმი “მოუსმინე სიჩუმეს” ლაიფციგის კინოფესტივალის პრიზიორია

მარიამ ჭაჭიას დოკუმენტური ფილმი “მოუსმინე სიჩუმეს” საერთაშორისო კინოფესტივალის DOK LEIPZIG ერთ-ერთი გამარჯვებულია.

ფილმმა ჯილდო სექციაში Next Masters მიიღო.

“მოუსმინე სიჩუმეს” ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია. იგი სიჩუმის სამყაროზე მოგვითხრობს, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან ადგილას მდებარეობს.

ქართველი დოკუმენტალისტების გამარჯვება იჰლავას საერთაშორისო კინო-ფესტივალზე

ქართველი რეჟისორი სალომე ჯაში იჰლავას კინოფესტივალზე 2 ჯილდოს მფლობელი გახდა. სალომეს ფილმმა “დაისის მიზიდულობა” ორივე საკონკურსო სექცია მოიგო (Best Central and Eastern European Film ; Best Debut Documentary Film), რომელშიც იგი წარდგენილი იყო.

კინოფესტივალზე დაჯილდოვდა კიდევ ერთი ქართველი დოკუმენტალისტი ნინო გოგუა. რეჟისორის ნამუშევარს “ნივთები” პრიზი ფესტივალის ახალგაზრდული ჟიურისგან გადაეცა.

იჰლავას დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი 1997 წელს დაარსდა და მას შემდეგ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთ მთავარ კინომოვლენად ითვლება.

სალომე ჯაშის ფილმი “დაისის მიზიდულობა” საერთაშორისო კინოფესტივალების რჩეულია

სალომე ჯაში დოკუმენტური ფილმით “დაისის მიზიდულობა” ჩილეში, ვალდივიის საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი ჯილდოს მფლობელი გახდა.

მალევე ფილმმა “დაისის მიზიდულობა” მორიგი პრიზი რუმინეთში, Astra Film Festival-ზე მოიპოვა. რეჟისორს მთავარი ჯილდო საუკეთესო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული ფილმის შექმნისთვის გადაეცა.

ზაზა ურუშაძე და ნანა ჯანელიძე LISTAPAD FILM FESTIVAL-ის ჟიურის თავმჯდომარეები იყვნენ

ქართველი რეჟისორები ზაზა ურუშაძე და ნანა ჯანელიძე Listapad Film Festival-ზე მთავარ საკონკურსო პროგრამებს ხელმძღვანელობდნენ. ზაზა ურუშაძე მხატვრული ფილმების საკონკურსო სექციის ჟიურის თავმჯდომარე იყო. ნანა ჯანელიძე კი კინოფესტივალზე დოკუმენტურ ფილმებს აფასებდა.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტური ფილმების კონკურსში მონაწილეობას იღებდა სალომე მაჩაიძის, თამუნა ქარუმიძისა და დავით მესხის უკვე მრავალი ჯილდოს მფლობელი ფილმი “როცა დედამიწა მსუბუქია”. ფილმს ტელე-რადიო კომპანია “მირის” სპეციალური პრიზი “კინოს ენა - ურთიერთგაგების ენა” გადაეცა.



ქართული ფილმი „გოგიტას ახალი ცხოვრება“ ამსტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ამსტერდამში, დოკუმენტური კინოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალზე IDFA ლევან კოლუაშვილის ახალი ფილმის “გოგიტას ახალი ცხოვრება” მსოფლიო პრემიერა შედგა.

ფილმი ფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში იყო წარდგენილი.

აღსანიშნავია, რომ პრემიერის შემდეგ ცნობილი გერმანული კომპანია Deckert Distribution ფილმის „გოგიტას ახალი ცხოვრება“ გაყიდვების კომპანია გახდა!

ქართული ფილმი “ლუკა” სტოკჰოლმის საერთაშორისო კინოფესტივალზე

გიორგი ბარაბაძის ფილმმა “ლუკა” სტოკჰოლმის საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღო მონაწილეობა.

“ლუკა” ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია, რომლის ჩვენებებიც ფესტივალზე 9, 11 და 13 ნოემბერს შედგა.

სტოკჰოლმის საერთაშორისო კინოფესტივალი შვედეთში 1990 წლიდან ტარდება და ახალი ტალანტების მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.

ყოველწლიურად ფესტივალს არაერთი კინოვარსკვლავი სტუმრობს.

საქართველოს კანდიდატი ფილმი ოსკარზე რუსუდან გლურჯიძის „სხვისი სახლი“ ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე არაერთი პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი გახდა.

ქართული ფილმი “როცა დედამიწა მსუბუქია” მექსიკაში დააჯილდოვეს

სალომე მაჩაიძის, თამუნა ქარუმიძისა და დავით მესხის დოკუმენტური ფილმი კინოფესტივალზე DocsMX ჟიურის სპეციალური პრიზით სექციაში Around The Cities დააჯილდოვეს.

დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი DocsMX მექსიკაში წელს უკვე 11-ედ გაიმართა და რამდენიმე სექციაში 90-ზე მეტი ფილმის ჩვენებას უმასპინძლა.

პრესის საერთაშორისო აკადემიის პრიზი “სატელიტი”

პრესის საერთაშორისო აკადემიამ დააანონსა ის 12 ფილმი, რომლებიც სხვადასხვა ნომინაციაში პრესის საერთაშორისო აკადემიის პრიზების მოსაპოვებლად იბრძოლებენ. დაჯილდოვების ცერემონიალი ლოს ანჯელესში 19 თებერვალს გაიმართება. ნომინანტების გარდა, ცნობილი გახდა სპეციალური ჯილდოების მფლობელების ვინაობაც, რომელთაც “სატელიტი” კინემატოგრაფში განსაკუთრებული მიღწევებისთვის გადაეცათ. ერთ-ერთი ასეთი ჯილდო ქართულ ფილმს “სხვისი სახლი” ხვდა წილად, როგორც საუკეთესო სადებიუტო ნამუშევარს!

კოტბუსის კინოფესტივალი

წელს კოტბუსის კინოფესტივალზე 18 ჯილდო გაიცა, მათ შორის ერთ-ერთი საქართველოს ხვდა წილად. “სხვისი სახლი” ინტერკულტურული კომუნიკაციისთვის DIALOG Prize-ს მფლობელი გახდა. ეს ჯილდო The German Foreign Office-ს მიერ არის დაწესებული.

ნომინაცია აზიურ ოსკარზე

ფილმის “სხვისი სახლი” ოპერატორი გორკა გომეს ანდრეუ The Asia Pacific Screen Awards-ზე საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის წარადგინეს. APSA აზია-წყნარი ოკეანის კინოდაჯილდოვება 2007 წლიდან ავსტრალიაში, ქალაქ ბრისბანში იმართება და მას ღონისძიების მნიშვნელობისა და მისი მასშტაბურობის გამო აზიურ ოსკარს უწოდებენ.

გამარჯვება საბერძნეთში

17-27 ნოემბერს საბერძნეთში კინოფესტივალი Panorama of European Cinema გაიმართა, რომელმაც საზოგადოებას არაერთი ცნობილი და წარმატებული ფილმი შესთავაზა მსფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. კინოფესტივალის მთავარი ჯილდო “ფიპრესია”, რომელსაც კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციის წევრებისგან დაკომპლექტებული ჟიური გასცემს. წელს “ფიპრესი” რუსუდან გლურჯიძის ფილმს “სხვისი სახლი” გადასცეს!

ჟიურის სპეციალური პრიზი ანტალიის საერთაშორისო კინოფესტივალზე

“სხვისი სახლი” ანტალიის საერთაშორისო კინოფესტივალის რჩეულია. ჟიურის გადაწყვეტილება სცენიდან ენდი მაკდაუელმა გამოაცხადა, რის შემდეგაც რუსუდან გლურჯიძის ფილმს მორიგი საერთაშორისო ჯილდო - ჟიურის სპეციალური პრიზი გადაეცა. ანტალიის საერთაშორისო კინოფესტივალი თურქეთში ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური კინომოვლენაა, რომელიც 1963 წლიდან იმართება.



უკრაინაში ახალი ქართული კინოს ფესტივალი გაიმართა

19 ნოემბერს უკრაინაში, კინოთეატრ „კიევში“ ახალი ქართული კინოს რიგით XII ფესტივალი საზეიმოდ ვანო ბურდულის ფილმით „გაყინული შადრევნების წელიწადი“ გაიხსნა. ფესტივალის გახსნას ფილმის რეჟისორთან და სხვა სტუმრებთან ერთად უკრაინის კულტურის მინისტრი და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში მიხეილ უკლება დაესწრნენ. კინოფესტივალი 27 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდა და მის ფარგლებში შემდეგი 7 ქართული ფილმი აჩვენეს:

- “სიმინდის კუნძული”
- “მოირა”
- “მე არ გადავკვეთე საზღვარი, საზღვარმა გადამკვეთა მე”
- “ბოლო ნახატი”
- “მამა”
- “coffee brake”

ღონისძიება ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით გაიმართა.



ქართული ფილმი “მეჩელებე” კინოფესტივალზე TOUS COURTS დაჯილდოვდა

თორნიკე ბზიავას მოკლემეტრაჟიანი ფილმი “მეჩელებე” მორიგი ჯილდოს მფლობელი გახდა. კინოფესტივალზე Tous Courts საერთაშორისო ჟიურიმ სპეციალური პრიზი პოლონურ-უკრაინულ კოპროდუქციას “Moloch” გადასცა, მეორე ადგილის სიგელი კი ქართულმა ფილმმა “მეჩელებე” დაიმსახურა. “მეჩელებე” ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია, რომელიც კინოცენტრისა და თიბისი ბანკის მხარდაჭერით შეიქმნა.

THE EASTERN NEIGHBOURS FILM FESTIVAL-ზე 5 ქართული ფილმი აჩვენეს

9-13 ნოემბერს ჰოლანდიაში The Eastern Neighbours Film Festival გაიმართა, რომელზეც 5 ქართული ფილმის ჩვენება შედგა. ქართული კინო წელს ფესტივალის ფოკუსში იყო. 10-13 ნოემბერს ფესტივალზე შემდეგი მოკლემეტრაჟიანი ფილმები აჩვენეს:

- გიორგი წილოსანის “მზადება”
- გიგა ბაინდურაშვილის “ფეხშიშველი”
- ტატო კოტეტიშვილის “ოგასავარა”
- ვახო ჯაჯანიძის “გამოსვლა”

ასევე კინოფესტივალზე ნახეს თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტურ ფილმი “მე არ გადავკვეთე საზღვარი, საზღვარმა გადამკვეთა მე”. The Eastern Neighbours Film Festival ჰოლანდიაში წელს უკვე მეექვსედ გაიმართა.



“ევრიმაჟის” ახალი პრეზიდენტი კატრინ ტრატმანი გახდა

კინოს განვითარებისა და მხარდაჭერის ევროპის საბჭოს ფონდს “ევრიმაჟი” ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ფონდის პრეზიდენტად კატრინ ტრატმანი აირჩიეს.

“ევრიმაჟის” ახალი პრეზიდენტი საფრანგეთის წარმომადგენელია, რომელსაც კინო და აუდიო-ვიზუალურ სექტორში დიდი გამოცდილება და ცოდნა აქვს. კატრინ ტრატმანის სამუშაო ბიოგრაფია რამდენიმე მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო თანამდებობას მოიცავს, მათ შორის საფრანგეთის კულტურისა და კომუნიკაციის მინისტრის პოსტს 1997-2000 წლებში.

საქართველო კინოს განვითარებისა და მხარდაჭერის ევროპის საბჭოს ფონდის წევრი 2012 წელს გახდა. 2012 წლიდან დღემდე “ევრიმაჟმა” 10 ქართული პროექტი დააფინანსა. ქართული პროექტებისთვის გამოყოფილი ჯამური თანხა 2 მილიონ ევროზე მეტია.

„კინო სკოლაში“ - პროექტის 2016 წლის სეზონი ინტელექტუალური თამაშით „რა? სად? როდის?“ დაიხურა

27 ნოემბერს სასტუმრო „ჰულინგ თბილისი“ პროექტის „კინო სკოლაში“ დასკვნით ღონისძიებას მასპინძლობდა. პროექტის 2016 წლის სეზონი ინტელექტუალური თამაშით „რა? სად? როდის?“ დაიხურა. ასევე, გაიმართა პირველი ქართული 3D ანიმაციის „ჯინო“ სატესტო ჩვენება.

ღონისძიებას კინოსკოლელებთან ერთად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და ინტელექტუალების „რა? სად? როდის?“ წევრები დაესწრნენ.

“კინო სკოლაში” კინოგანათლების პოპულარიზაციაზე ორიენტირებული პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდებში კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. 2016 წლის სეზონის ფარგლებში კინოსკოლელები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ტრადიციულად ესწრებოდნენ კინოჩვენებებს, მართავდნენ დისკუსიებს და იღებდნენ მოკლემეტრაჟიან სასწავლო ფილმებს.

რაც წლებადღე სეზონს პროექტის სხვა სეზონებისგან გამოარჩევს ინტელექტუალური თამაშია. ინტელექტუალების „რა? სად? როდის?“ წევრებმა სპეციალურად პროექტისთვის „კინო სკოლაში“ კითხვები კინოს თემატიკიდან შეადგინეს, მოეწყო შესარჩევი ტურები, გამარჯვებული გუნდები კი ერთმანეთს სწორედ პროექტის შემაჯამებელ ღონისძიებაზე შეეჯიბრნენ. ფინალურ შეხვედრას სულ 500 კინოსკოლელი დაესწრო 80-ზე მეტი გუნდიდან.



გიორგი ოვაშვილს ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის კავალერის წოდება მიენიჭა

გიორგი ოვაშვილს საფრანგეთის კულტურისა და კომუნიკაციების მინისტრის ოდრე აზულეს გადაწყვეტილებით, საფრანგეთისა და მსოფლიოს კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის კავალერის წოდება მიენიჭა.

დაჯილდოვების ცერემონია საფრანგეთის ელჩის რეზიდენციაში გაიმართა. წოდება კი გიორგი ოვაშვილს საფრანგეთის ელჩმა საქართველოში, პასკალ მენიემ გადასცა.

ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის კავალერის წოდებაზე გიორგი ოვაშვილი საფრანგეთის ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა - ფრედერიკ ბრედინმა წარადგინა.

ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენი საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ 1957 წელს დააარსა. სხვადასხვა წლებში ეს სტატუსი ტიმ ბარტონს, ენგ ლის, ჯუდ ლოუს, ჯორჯ კლუნის, უმა თურმანს, მელანი ლორანს, ქეით ბლანშეტს, მარიონ კოტიარს, ვანეს პარადის, კაილი მინოუგს და შაკირას მიენიჭათ.

პროექტს “მოქალაქე წმინდანი” ევრიმაჟის ჯილდო გადაეცა

ტალინის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გამართულ კოპროდუქციის მარკეტზე თინათინ ყაჯრიშვილისა და ლაშა ხალვაშის პროექტი “მოქალაქე წმინდანი” საუკეთესოდ აღიარეს და ევრიმაჟის ჯილდოც გადასცეს 20 000 ევროს ოდენობით.

“მოქალაქე წმინდანი” ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია. მისით უკვე დაინტერესდნენ ისეთი საერთაშორისო პლატფორმები, როგორებიცაა EAVE producers workshop 2016 და La Fabrique des Cinema du Monde 2016.

ერთი კვირა ოთარ იოსელიანის სამყაროში

28 ნოემბერიდან 4 დეკემბრის ჩათვლით სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი გამოფენას “ერთი კვირა ოთარ იოსელიანის სამყაროში” მასპინძლობდა, რომელიც ოთარ იოსელიანის ფილმის „გიორგობისთვე“ საიუბილეო თარიღს მიეძღვნა. ფილმის გადაღებიდან 50 წელი გავიდა. მუზეუმის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იყო ოთარ იოსელიანის პირად არქივში დაცული სხვადასხვა წლებში შესრულებული 50 გრაფიკული ნამუშევარი, რომელიც ფართო საზოგადოების წინაშე პირველად გამოიფინა.

გამოფენის გახსნის დღეს კი საკონფერენციო დარბაზში ფილმის „გიორგობისთვე“ ჩვენებაც შედგა.

„ჯიბის კაცი“ - პირველ ქართულ-ფრანგულ ანიმაციურ კოპროდუქციაზე მუშაობა სრულდება

„ჯიბის კაცი“ პირველი ანიმაციური ფილმი იქნება, რომელზეც საქართველომ და საფრანგეთმა ერთობლივად იმუშავეს.

ფილმზე ანიმატორი ანა ჩუბინიძე მუშაობს. ერთი წლის წინ ანა ეროვნული კინოცენტრის, ანსის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის და “ნიქოზის” კინოფესტივალის ერთობლივი კონკურსის გამარჯვებული გახდა. ახალგაზრდა ანიმატორმა მოიპოვა შესაძლებლობა წარედგინა საკუთარი პროექტი ანსის კინოფესტივალზე. სწორედ პროექტის პრეზენტაციის შემდეგ დაინტერესდა მისით “ფოლიმაჟი”, ტელეკომპანია Canal+ და ანამ “ჯიბის კაცზე” მუშაობა ფრანგ კოლეგებთან



ერთად დაიწყო. რამდენიმე თვის წინ კი პროექტში შვეიცარიული მხარეც ჩაერთო.

ანიმაციური ფილმი “ჯიბის კაცი” კინოსტუდიის “კვალი XXI” ბაზაზე იქმნება. ფილმზე მუშაობა დეკემბრის თვეში დასრულდა და სულ მალე „ჯიბის კაცი“ საფესტივალო კარიერას დაიწყებს.

“მე გადავცურე ენგური” - ამზავი ქალზე, რომელიც ომის დროს დაკარგული სახლის ძიებას იწყებს

“მე გადავცურე ენგური” ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია, რომელსაც ანუნა ბუკია იღებს.

დოკუმენტური ფილმი მოგვითხრობს ახალგაზრდა ქალზე. იგი იღებს გადაწყვეტილებას იპოვოს სახლი, რომელიც ომმა 4 წლის ასაკში დააკარგვინა.

პარალელურად, ანუნა ბუკია პროექტის ტრანსმედიის მიმართულებით განვითარებაზე მუშაობს. ფილმზე დაფუძნებული თამაში “Enguri” ანუნამ სხვადასხვა ქვეყნის რეჟისორებს, პროგრამისტებსა და დიზაინერებს ლაიფციგში DOK HACKATHON & PROTOTYPE JAM-ზე წარუდგინა.

ფილმი “მე გადავცურე ენგური” იპლავას საერთაშორისო კინოფესტივალის East Silver Market-ზეც აჩვენეს.



www.gnfc.ge



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge